

შპს სისხლის ბანკი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

შპს სისხლის ბანკი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
4. ფული და ფულის ექვივალენტები	11
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
6. მარაგები	11
7. არამატერიალური აქტივები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
10. შემოსავალი	12
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
12. სხვა შემოსავლები	13
13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13
14. კურსთა სხვაობიდან მიღებული მოგება ზარალი	13
15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	13
16. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	13
17. ფინანსური და სხვა რისკების მართვა	13
18. ფუნქციონირებადობა	14
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	637989	1068775	1184573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	234252	350649	366605
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	133974	97264	13385
მარაგები	106145	340593	585704
მზა პროდუქცია	48739	96807	211166
სხვა	57406	243786	374538
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	117	2671	3511
სხვა არამატერიალური აქტივები	483	568	668
ძირითადი საშუალებები	811925	859321	933913
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1924885	2719841	3088359
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	64205	32359	15621
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	663	0	82
საგადასახადო ვალდებულებები	2855	1115	4
სხვა ვალდებულებები	14885	4446	6887
სულ ვალდებულებები	82608	37920	22594
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი))	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	498565	1338209	1722053
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1343512	1343512	1343512
სულ საკუთარი კაპიტალი	1842277	2681921	3065765
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1924885	2719841	3088359
სულ მოკლევადიანი აქტივები	1112477	1859939	2153778
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	82608	37959	22594

მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1412757	3143608
საქონლის გაყიდვიდან	1323087	2982195
მომსახურების გაწევიდან	40170	161413
სხვა	49500	0
გაყიდვების თვითღირებულება	-586223	-1156550
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	826534	1987058
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	267292
დასაქმებულთა ანაზღაურება	-600392	-1541860
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-84926	-103317
საპროცენტო შემოსავალი	9811	6750
იჯარის ხარჯი	-2987	-5994
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-118793	-134841
სულ საოპერაციო ხარჯები	-797287	-1511970
საოპერაციო მოგება	29247	475088
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავ	5319	-9757
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	74775	-23642
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი	109341	441689
მოგების გადასახადის ხარჯი	-142452	-124243
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-33111	317446
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-33111	317446
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2681921	3065765
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-806533	-701290
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1842277	2681921

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოცემული) საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოცემული) საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოცემული)	398241	581348
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-68139	-28305
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-766207	-659475
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-436105	-106432
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	5319	-9366
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1068775	1184573
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	637989	1068775

დირექტორი: დავით ლოლიაშვილი

05.08.2025

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სისხლის ბანკი“ (205222285) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება, ჯამრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა. კომპანიის დამფუძნებელია: დავით ლოლიაშვილი (01010009572) - 100% წილის მფლობელი. კომპანიის გენერალური დირექტორია დავით ლოლიაშვილი (01010009572) მარეგისტრირებული ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლუბლიანას ქ2/6. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)”. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, შეფასებები პერიოდულად გადაიხედება, რაც გავლენას ახდენს აქტივების და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებებზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით). თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულების ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. სავალდებულების ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება.

მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯებად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდის გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ჩვენი ფირმა არ არის დღგ-ს გადამხდელი. საქონლის იმპორტის დროს გადახდილი დღგ ემატება იმპორტირებული საქონლის ღირებულებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები-შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

ჯგუფი	ცვეთის პროცენტი
შენობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა და ტექნიკა	20%
მძიმე ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები	20%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით, ცვეთის ნორმა განისაზღვრება 15%-ით. კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამებსა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად,

როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა განისაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, უნდა შეფასდეს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდეს მის საბალანსო ღირებულებას თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, უნდა შეფასდეს საბალანსო ღირებულება ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს მოგებაში/ ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა (ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები) **საქონლის გაყიდვა** - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ თანამშრომელისგან.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით. კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა..ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადები

ბ. გადასახადები

წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

2024წელს წინა წლების კორექტირება განხორციელდა 2022წელზე. კერძოდ დახმარებაზე დარიცხული იყო საპენსიო გადასახადი 51.68 ლარი რაც ჩასწორდა. საპენსიო ფონდში ფორმა სწორად იყო წარდგენილი 51.68ლარის გარეშე.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	12/31/2023	1/1/2023
ნაღდი თანხა სალაროში	0	14208	19587
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	253167	540204	406066
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	384822	514363	758920
სულ:	637989	1068775	1184573

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	12/31/2023	1/1/2023
სავაჭრო მოთხოვნები	234252	350649	366605
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	114902	14885	13385
პროცენტი	19069	0	0

6. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
მზა პროდუქცია	48739	96807	211166
ნედლეული და მასალები	57406	243929	374920
საწვავი	11	2528	3129
სხვა	106		
სულ:	106262	343264	589215

7. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	ჯამი
ღირებულება 1იანვარი2023	2081	2081
ღირებულება 31დეკემბერი2023	2081	2081
ღირებულება 31დეკემბერი2024	2081	2081
დაგროვილი ცვეთა1იანვარი2023	- 1413	-1413
ცვეთის დარიცხვა	-100	-118
დაგროვილი ცვეთა31დეკემბერი2023	- 1513	-668
ცვეთის დარიცხვა	-85	-85
დაგროვილი ცვეთა31დეკემბერი2024	- 1598	-1598
ნარჩენი ღირებულება		
1იანვარი2023წ	668	668
31დეკემბერი2023წ	568	568
31დეკემბერი2024წ	483	483

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა ოფისი	ფართი 2008 ოფისი	ფართი 2019 აღჭურ.	ოფისის .	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები აშუალება	ჯამი
ღირებულება 01.01.2023	244100	103900	273389	164652	420376	511495	1717913
ყიდვა				11839	16781		28620
გაყიდვა							
ჩამოწერა				-83			-83
ღირებულება 31.12.2023	244100	103900	273389	176408	437157	511495	1746449
ყიდვა				5880	1877	60382	68139
გაყიდვა						-55860	-55860
ჩამოწერა							
ღირებულება 31.12.2024	244100	103900	273389	182288	439034	516017	1758728
დაგროვ. ცვეთა 01.01.2023	0	-42300	-88923	-105105	-300843	-246828	-783999
დარიცხული ცვეთა	0	-3080	-9223	-12779	-26330	-52934	-104346
ძირითადი საშულ. გაყიდ.	0	0	0		1217	0	1217
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	0	-45380	-98146	-117884	-325956	-299762	-887128
დარიცხული ცვეთა	0	-2926	-8762	-12386	-22546	-38220	-84840
ძირითადი საშულ. გაყიდ.						25165	25165
ჩამოწერა					0		0
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	0	-48306	-106908	-130270	-348502	-312817	-946803
ნარჩენი ღირებულება							
01.01.2023	244100	61600	184466	59547	119533	264667	933914
31.12.2023	244100	58520	175243	58524	111201	211733	859321
31.12.2024	244100	55594	166481	52018	90532	203200	811925

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	12/31/2023	1/1/2023
სავაჭრო ვალდებულება	64205	32359	15621
მიღებული ავანსები	113896	4446	4886
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	663	0	82
საგადასახადო დავალიანება	2855	1115	4
საპენსიო ფონდი	0	40	2053
სულ:	180964	37960	22646

10. შემოსავალი

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	1288172	2757422
მომსახურება	40170	161413
სხვა (უანგარო დონორი)	34915	224773
იჯარა	49500	0
სულ:	1412757	3143608

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-570669	-1102060
მომსახურების თვითღირებულება	-15554	-54490
სულ:	-586223	-1156550

12. სხვა შემოსავლები

	2024	2023
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	32400	0
სუბსიდირება	71039	234672
სხვა შემოსავალი(ჩუქება)	16775	31403
ცვეთის აღდგენა	0	1218
საპროცენტო შემოსავალი	9811	
სულ:	130025	267293

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024	2023
კომუნალური ხარჯი	-35411	-31521
საკანცელარიო ხარჯი	-1029	-4074
დაგროვებითი პენსია	-1882	-5297
სამეურნეო ხარჯი	-4606	-14951
მივლინების ხარჯი	-240	-4390
დაცვის მომსახურება	-1620	-1620
საწვავის ხარჯი	-34765	-32713
ბანკის ხარჯი	-2934	-2992
წარმომადგენლობითი ხარჯი	-2766	-6373
კომუნიკაციის ხარჯი	-2093	-2400
მიმდინარე რემონტი	-1392	-9866
ა/მ დაზღვევის ხარჯი	-8707	-7728
ა/მ მიმდინარე რემონტი	-11497	
ქველმოქმედების ხარჯი	-1980	-2900
საიჯარო ქირა	-2988	
ქონების გადასახადი	-816	
სხვა ხარჯი	-3754	-8017
სულ:	- 12178	-134842

14. კურსთა სხვაობიდან მიღებული მოგება ზარალი

	2024	2023
მოგება	18947	31874
ზარალი	-13628	-41631
სულ:	5319	-9757

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ჯარიმები და სხვ ხარჯი (ჩუქება)	-23642	-23642
რეალიზებული ა.მ ნარჩენი საბალანსო ღირებულება	-30695	0
სხვა ხარჯები	-14744	0
სულ:	-6908	-23642

16. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ბრუნვა არ ყოფილა.

17. ფინანსური და სხვა რისკების მართვა**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი ;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათი გასაწესებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

18. ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ საწარმო აღარ მოახდენს ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებას. მის საქმიანობაში რჩება სამედიცინო მომსახურების გაწევა, იმპორტირებული სამედიცინო პროდუქციის რეალიზაცია და სხვა ააიპ ორგანიზაციის მიერ დამზადებული პროდუქტების ტრანსპორტირება. აგრეთვე მოახდენს ქონების იჯარით გაცემას.